

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის ოქმი N16

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

26.11.2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი: – გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, თენგიზ დვალიშვილი, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა ტოხვაძე, ბიჭიკო პაიკიძე, დავით ხარძეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ვარლამ გიორგაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, კობა ძაგნიძე, შოთა გიორგაძე, გელა ღვიტიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე იურიდიულ საკითხებში - **სალომე ფახურიძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭიშვილი;**

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 12⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში შოთა რუსთაველის ქ. N2-ში მდებარე 16 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.934) სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: გიგა გოგიბერიძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მამუკა ნამიჭეიშვილი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა - ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გიგა გოგიბერიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში შოთა რუსთაველის ქ. N2-ში მდებარე 16 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.934) სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ მომხსენებელმა განმარტა, რომ განკარგულების პროექტის მიხედვით მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ვანში, შოთა რუსთაველის ქ. N 2-ში მდებარე 16 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.934) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, აღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის ფორმად განისაზღვროს იჯარა, სარგებლობის ვადად-2 წელი, წლიური საიჯარო ქირის ღირებულებად -360 (სამას სამოცი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში შოთა რუსთაველის ქ. N2-ში მდებარე 16 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.934) სარგებლობის უფლებით გადაცემისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

(განკარგულება: N27 28)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა-მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

განკარგულების პროექტის მიხედვით ცვლილება განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული განკარგულების დანართს დაემატა 2020-2021 წლებში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები:

1. ბზვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქვედა ბზვანში ე.წ. ჭალის უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

პროექტით გათვალისწინებულია: ბზვანის ადმ/ერთეულში, სოფელ ქვედა ბზვანში ჭალის უბნის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია საავტომობილო გზების 3.4 კმ-მდე მონაკვეთზე დაიგება ასფალტის საფარი. მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება სანიაღვრე არხებს. პროექტის განხორციელებით გადაიჭრება კომუნიკაციის პრობლემა, გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა. პროექტის დასრულების შემდეგ საგრძნობლად შემცირდება გზის მოვლა-შენახვაზე ყოველწლიურად გასაწევი ხარჯები.

პროექტის დასაფინანსებელი თანხა შეადგენს 628879 ლარს.

2. სულორის ადმინისტრაციულ ერთეულში სახნავას, მახარეიშვილების და ტიპტიპების უბნებში გზების რეაბილიტაცია;

აღნიშნული პროექტის ფარგლებში საავტომობილო გზის 2,1 კმ-მდე მონაკვეთზე დაიგება ასფალტ/ბეტონის საფარი. მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება სანიაღვრე არხებს, პროექტის განხორციელებით გადაიჭრება კომუნიკაციის პრობლემა, გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა, პროექტის დასრულების შემდეგ საგრძნობლად შემცირდება გზის მოვლა შენახვაზე ყოველწლიურად გასაწევი ხარჯები. უნდა ითქვას რომ პროექტი მოიცავს სამ დასახლებას და ხორციელდება ერთი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ფარგლებში, პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 534859 ლარს;

3. დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;

პროექტით გათვალისწინებული საბავშვო ბაღის შენობის ფასადის კეთილმოწყობა (შელესვა, დაშხეფვა, შეღებვა) შიდა კედლებისა და ჭერის დაზიანებული ფრაგმენტების შეღესვა, სრულად შეფითხვა და შეღებვა. იატაკების შეცვლა, გათბობის რეაბილიტაცია, წყლით უზრუნველყოფის სისტემის მოწყობა, განათების ქსელის რეაბილიტაცია, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მოწყობა, ამორტიზებული კარებისა და ფანჯრების შეცვლა, პროექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 150 000 ლარს.

4. მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა;

პროექტით გათვალისწინებულია საბავშვო ბაღისთვის ახალი შენობის აგება, რომელიც გათვლილია 25 აღსაზრდელზე. სველი წერტილების, სამზარეულოს, სამრეცხაოს მოწყობით შენობაში იქნება კეთილმოწყობილი ფართები, შენობა აღჭურვილი იქნება ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით, გათბობითა და წყალმომარაგებით, პროექტის დასაფინანსებელი თანხა შეადგენს 213 600 ლარს.

აღნიშნული პროექტების განხორციელების მიზნით რეგიონში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან ჯამში გამოყოფილია 1527338 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 20

წინააღმდეგი–არცერთი

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში ჩვლილების შეტანის თაობაზე.

(განკარგულება: N27 29)

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ „სხვადასხვა“-ში აღნიშნა, რომ საკრებულოს მუდმივი კომისიებისა და ბიუროს სხდომებზე, წარმოდგენილ საკითხებთან ერთად, განხილულ იქნა ასევე 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც გამოთქმული დასაბუთებული შენიშვნებით დაუბრუნდა მერიას კორექტირებისათვის.

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე

